# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1375 2013 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1117 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკისა და სოფლის ამბულატორიების მშენებლობის დასაფინანსებლად სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 9748 „23“ 09 2013 წ.
ფურცელი



აგვისტოს №1117 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის $3^1$ პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების სახელმწიფო შესყიდვა სსიპ - საქართველოს მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით .“.

საქართველოს მთავრობის №1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი